ხელშეკრულება №2

ქ. ზუგდიდი. 7 მარტი 2011წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. „ANAKLIA-GANMUKXURI RESORTS“, (შემდგომში - „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი მესხის სახით, მეორეს მხრივ, შ.პ.ს. საპროექტო სამშენებლო კომპანია „დიზაინ-დ”, (შემდგომში შემსრულებელი) წარმოდგენილი დირექტორის ბიძინა გოგილავას სახით ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება:

1.1 შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს მომსახურება და განახორციელოს შემდეგი სახის სამუშაოები: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ანაკლიის ტერიტორიაზე, მდ.ენგურიდან მდ. თიქორამდე დაახლოებით 120 ჰა-ზე დეტალური ტოპოგრაფიული რუქის მომზადება WGS კოორდინატთა სისტემაში
1.2 შესრულებული სამუშაოების ღირებულება საქართველოში მოქმედი გადასახადების ჩათვლით 1 ჰექტარზე შეადგენს 200 ლარს. საერთო ღირებულებაა 24 000 (ოცდაოთხიათასი) ლარი

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

2.2 შემსრულებლის უფლება-მოვალეობები:
2.2 შემსრულებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 მუხლით გათვალისწინებული სამუშაო დაასრულოს ამავე მუხლით განსაზღვრულ დროში მისი დაწყებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში;
2.3 შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს სამშენებლო მასალების შესყიდვა დამკვეთის მიერ გამოყოფილი თანხების ჩარიცხვის პროპორციულად.
2.4 სამუშაოები განახორციელოს სამშენებლო სტანდარტების, ნორმებისა და წესების გათვალისწინებით;
2.5 სამუშაოთა წარმოებისას დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოებისა და წესები;
2.6 შესრულებული სამუშაო შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმატიულ აქტებს.
2.7 სათანადო ხარისხით და დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;
2.8 უსასყიდლოდ და დროულად გამოახმაუროს მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზი, რომელიც გამოვლინდა შესრულების პროცესში ან მას შემდეგ 1 (ერთი) თვის ვადაში;
2.9 პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები;
2.10 მოსთხოვოს დამკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციისა და მასალების დროულად მიწოდება;
2.11 მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
2.12 დამკვეთის უფლება-მოვალეობები:
2.13 მიიღოს შეთანხმებული ხარისხითა და დათქმულ ვადებში შესრულებული სამუშაო;
2.14 მოახდინოს შემსრულებელთან შესაბამისი ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
2.15 დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია და შეუქმნას სამუშაოს საწარმოებლად შესაბამისი სამუშაო ფრონტი.
2.16 მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 3. მიღება – ჩაბარების წესი:

3.1 სამუშაო ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაბარებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
3.2 მიღება-ჩაბარებას განახორციელებენ მხარეები შეთანხმებისამებრ.
3.3 შესრულებული სამუშაოს ხარისხი, შემადგენლობა და მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

მუხლი 4. ანგარიშსწორება:

4.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. გარანტია:

5.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადაა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია შემსრულებლის მიზეზით, შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა:

6.1 ფორს-მაჟორული სიტუაციის გარდა, შემსრულებლის მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისა და/ან მათი დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მის მიმართ გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
6.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების მითითებულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაგვიანებული დღისათვის ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,001%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მომენტიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ დამრღვევი მხარე პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს თანხის 0,001%-ის ოდენობით;
6.3 ჯარიმის გადახდის მოვალეობა არ ათავისუფლებს მხარეებს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;
6.4 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება.
6.5 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ფორს–მაჟორი:

7.1 ფორს–მაჟორული გარემოებების გამო, ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეწყვეტა არ განიხილება, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ იწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის, „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსრულებლის და/ან დამკვეთის შეცდომებთან და გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვ.

მუხლი 8. სხვა დებულებები:

8.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია მხარეების მიერ მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა ხდება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულების დამდებელ არც ერთ მხარეს არა აქვს ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად შეცვლის უფლება;
8.3 თუ რაიმე წინასწარგაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით შეატყობინოს შესაბამისი ინფორმაცია;
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
8.6 ხელშეკრულება დადებულია 2011 წლის 7 მარტს და მოქმედებს 2011 წლის 30 დეკემბრამდე. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 9. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

შ,პ.ს. ANAKLIA-GANMUKXURI RESORTS	შპ.ს. საპროექტო სამშენებლო
ქ. ზუგდიდი,ზვ. გამსახურდიას	კომპანია „დიზაინ-დ“
გამზირი№45	ქ. ზუგდიდი. თეთრი გიორგის I
ს/კ 419983432	ს/კ 220415389
ს/ს „ლიბერთი ბანკი“ს	ა/ა GE28PC0173600100024691
სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი	ს.ს „პროკრედიტ-ბანკი“
LBRTGE22 (464)	
ა/ა GE68LB0113110374533000	ბანკის კოდი: MIBGG22
ს/კ: 203828304	
საკონტაქტო ნომრები:	**საკონტაქტო ნომრები:**
895 90 04 44	**895 53 97 47;** 8(215)2 17 45
„დამკვეთი“	**„შემსრულებელი“**
ბ. ძესხი	ბ. გოგილავა
შ.პ.ს.„ANAKLIA-GANMUKXURI RESORTS"	შ.პ.ს.„საპროექტო-სამშენებლო
დირექტორი	კომპანია „დიზაინ-დ“ დირექტორი